

საქართველოს
დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო



DEPOSIT INSURANCE AGENCY
OF GEORGIA

2020 წლის წლიური ანგარიში

აპრილი, 2021 წელი

სარჩევი

შესავალი	3
სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო, მისია და ღირებულებები	4
სისტემის წევრი ბანკები	5
სააგენტოს მიერ 2020 წელს განხორციელებული ძირითადი საქმიანობის მიმოხილვა	6
კომერციული ბანკების ანგარიშგება და რეგულარული სადაზღვევო შენატანები.....	7
დეპოზიტების ცვლილების ტენდენცია	7
სადაზღვევო ზღვარი, დაფარვის კოეფიციენტი და ფონდის ანაზღაურებისუნარიანობა	9
დეპოზიტების დაზღვევის ფონდი და პორტფელის მართვა.....	10
განახლებული სადაზღვევო ზღვარი	12
რისკზე დაფუძნებული რეგულარული სადაზღვევო შენატანი	13
საკანონმდებლო ცვლილებები	14
მართვის საინფორმაციო სისტემა	15
საინფორმაციო კამპანია	15
დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ფინანსური მდგომარეობა.....	16

შესავალი

საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის სისტემა 2018 წლიდან ამოქმედდა და ის უზრუნველყოფს საქართველოში მოქმედ ნებისმიერ კომერციულ ბანკში განთავსებული ფიზიკური პირების ყველა სახის დეპოზიტების დაზღვევას. დეპოზიტების დაზღვევა დეპოზიტორების დაცვის მსოფლიოში აპრობირებული მექანიზმია, რომელიც უზრუნველყოფს დეპოზიტორების დაცვას დაზღვეული დეპოზიტების დაკარგვისგან (გარანტირებულად ანაზღაურებადი თანხის კონკრეტული ოდენობით) იმ შემთხვევაში, თუ კომერციულ ბანკს ექმნება ანაზღაურების პრობლემა.

დეპოზიტების დაზღვევა პრუდენციულ რეგულირებასთან, ლიკვიდურობის მხარდაჭერასთან და ეფექტიან ზედამხედველობასთან ერთად, ფინანსური უსაფრთხოების სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტია.



დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, როგორც ფინანსური უსაფრთხოების კომპონენტი, დანერგილია და მოქმედებს მსოფლიოს 146 ქვეყანაში. ის უზრუნველყოფს, როგორც თითოეული დეპოზიტორის დაცულობას, ისე მთლიანად ფინანსური სისტემის სტაბილურობის განმტკიცებას. მისი ერთ-ერთი ძირითადი მიზანი ნებისმიერ ბანკში სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას პრობლემის სხვა ბანკებზე გადაცემის რისკების შერბილებაა. დეპოზიტების

დაზღვევის სისტემა ამაღლებს საზოგადოებრივ ნდობას საბანკო სექტორის მიმართ და შესაბამისად, სტიმულს აძლევს დანაზოგების ზრდას.

საქართველოში სისტემის შემოღება გათვალისწინებული იყო, მათ შორის, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით. სისტემა დაინერგა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების გათვალისწინებით და რეგულირდება 2017 წლის 17 მაისს მიღებული საქართველოს კანონით „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“.

სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო, მისია და ღირებულებები

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის მართვისა და ადმინისტრირების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 ივლისის №357 დადგენილებით, ჩამოყალიბდა სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო (სააგენტო). სააგენტო, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, უფროსის ჩათვლით შტატით გათვალისწინებული 5 თანამშრომლით არის დაკომპლექტებული, მათ შორის ფინანსური ექსპერტი, ანაზღაურების ექსპერტი, იურისტი და ადმინისტრაციის სპეციალისტი. სააგენტოს ასევე, ჰყავს ხელშეკრულებით დასაქმებული შესყიდვების და ფინანსური მენეჯერები, ბიზნეს ანალიტიკოსი და საინფორმაციო ტექნოლოგიების კონსულტანტი.

სააგენტოს გედამხედველობას უწევს საქართველოს ფინანსთა მინისტრის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის და 2 დამოუკიდებელი წევრისგან შემდგარი სამეთვალყურეო საბჭო. საბჭოს დამოუკიდებელ წევრებს ირჩევენ კომერციული ბანკები.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები, სააგენტოს ორგანიზებით, იმართება კვარტალურად. საბჭო პრეზენტაციის სახით იღებს ინფორმაციას სააგენტოს მიერ განხორციელებულ და მიმდინარე სამუშაოებთან, ასევე, ფონდის ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებით; საბჭოსთან შეთანხმებით მიიღება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, თანხმდება კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტები (ინსტრუქციები), სააგენტოს ბიუჯეტი და სხვა საკითხები.

სააგენტოს მისიაა, მცირე ადმინისტრაციული რესურსით და ეფექტიანი მართვით, უზრუნველყოს დეპოზიტების დაზღვევის სისტემის გამართული ფუნქციონირება, სისტემის წინაშე არსებული ამოცანების გადაწყვეტა, მიზნების განხორციელება, ფუნქციათა შესრულების უწყვეტობა და შემდგომი განვითარების ხელშეწყობა.

სააგენტო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საჯარო პოლიტიკის ისეთი მიზნებით, როგორებიცაა ფინანსური უსაფრთხოების სისტემის გაძლიერება, დეპოზიტორების დაცვა და საბანკო სექტორში სისტემური კრიზისის პრევენცია. სააგენტო უზრუნველყოფს

საქართველოში მოქმედი სისტემის დაახლოებას საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან, მათ შორის დეპოზიტების დაზღვევის საერთაშორისო ასოციაციის ძირითად პრინციპებსა და ევროდირექტივით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

სისტემის წევრი ბანკები

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ამოქმედებისას (2018 წლის 1 იანვარი) საქართველოში 16 კომერციული ბანკი ოპერირებდა. 2018 წელს სისტემას ერთი კომერციული ბანკი გამოეთიშა. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულია 15 კომერციული ბანკი (ცხრილი #1).

ცხრილი #1: დეპოზიტების დაზღვევის სისტემის წევრი ბანკები, 2020 წლის 31 დეკემბერი

#	კომერციული ბანკი
1	სს "ბანკი ქართუ "
2	სს "ბაზისბანკი"
3	სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"
4	სს "ზირათ ბანკი საქართველო"
5	სს "თიბისი ბანკი"
6	სს "იშბანკი საქართველო"
7	სს "კრედიტ ბანკი"
8	სს "ლიბერთი ბანკი"
9	სს "პაშა ბანკი საქართველო "
10	სს "პროკრედიტ ბანკი"
11	სს "საქართველოს ბანკი"
12	სს "სილქ როუ დ ბანკი"
13	სს "ტერაბანკი"
14	სს "ფინკა ბანკი საქართველო"
15	სს "ხალიკ ბანკი საქართველო"

სააგენტოს მიერ 2020 წელს განხორციელებული ძირითადი საქმიანობის მიმოხილვა

2020 წელს დეპოზიტების დაბლვევის სააგენტოს მიერ განხორციელდა მნიშვნელოვანი აქტივობები დეპოზიტების დაბლვევის სისტემის შემდგომი განვითარების მიმართულებით.

2020 წლის 1 ივლისიდან ძალაში შევიდა გადაწყვეტილება სადაბლვევო ზღვრის გაზრდის თაობაზე. კერძოდ, დაბლვევის ზღვარი 5 000 ლარიდან 15 000 ლარამდე გაიზარდა. სააგენტომ ჩაატარა საინფორმაციო კამპანია აღნიშნული სიახლის შესახებ მოსახლეობის ინფორმირების მიზნით. კამპანია წარიმართა სატელევიზიო სარეკლამო რგოლის განთავსებისა და სხვა საინფორმაციო არხების საშუალებით.

2020 წლის მეოთხე კვარტალში დეპოზიტების დაბლვევის სააგენტომ ჩაატარა რისკზე დაფუძნებული სადაბლვევო შენატანის შემოღებისთვის აუცილებელი სამუშაოები. კერძოდ, საქართველოს ეროვნულ ბანკთან თანამშრომლობით, შემუშავდა შესაბამისი მეთოდოლოგია, ჩატარდა ინტენსიური კომუნიკაცია კომერციულ ბანკებთან სიახლის შეტყობინების და განმარტების მიზნით, დაანგარიშდა 2021 წლის ინდივიდუალური შენატანების ოდენობები თითოეული კომერციული ბანკისთვის. კომერციული ბანკები რისკების საფუძველზე გამოთვლილ რეგულარულ შენატანს 2021 წლის იანვრიდან გადაიხდიან.

შემუშავდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც სხვა ტექნიკური ხასიათის ცვლილებებთან ერთად, სისტემაში იურიდიული პირების ჩართვასაც გულისხმობს. პაკეტში აისახა დაინტერესებულ მხარეთა შენიშვნები და მოსაზრებები და საბოლოო სახით გაიგზავნა საქართველოს პარლამენტში. ცვლილებების განხილვა 2021 წლის საგაზაფხულო სესიაზე იგეგმება, ხოლო მიღების შემთხვევაში, ძალაში 2022 წლის 1 იანვარს შევა.

დასრულდა მუშაობა მართვის საინფორმაციო სისტემის დეველოპმენტზე და სისტემა დაინერგა რეალურ გარემოზე. კომერციული ბანკებისთვის ჩატარდა ონლაინ-ტრენინგები პროგრამის წარდგენისა და გაცნობის მიზნით. 2020 წლის სექტემბრიდან კომერციული ბანკები, სააგენტოსთვის წარსადგენ ყოველთვიურ ანგარიშგებას მართვის საინფორმაციო სისტემაში ტვირთავენ.

წლის განმავლობაში მიმდინარეობდა კომერციული ბანკებისგან ყოველთვიური ანგარიშგებით წარმოდგენილი მონაცემების სტატისტიკური დამუშავება და ანალიზი, ასევე, საინვესტიციო პოლიტიკით განსაზღვრული შესაბამისი აქტივობები.

კომერციული ბანკების ანგარიშგება და რეგულარული სადაზღვევო შენატანები

„დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოში მოქმედი ყველა კომერციული ბანკი დეპოზიტების დაზღვევის სისტემის წევრია. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოში 15 კომერციული ბანკი ოპერირებს. „კომერციული ბანკების მიერ გადასახდელი რეგულარული სადაზღვევო შენატანების ბაზის დაანგარიშების და რეგულარული სადაზღვევო შენატანების გადახდის პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, სისტემის წევრი ყველა კომერციული ბანკი ვალდებულია სააგენტოს ყოველთვიური ანგარიშგების სახით მიაწოდოს ინფორმაცია დაზღვეული დეპოზიტების შესახებ. ამავე ინსტრუქციის შესაბამისად ხდება ყოველთვიური სადაზღვევო შენატანის ოდენობის დაანგარიშება და დეპოზიტების დაზღვევის ფონდში გადახდა. როგორც ანგარიშგების წარდგენის, ისე სადაზღვევო შენატანის გადახდის ვადად განსაზღვრულია საანგარიშგებო თვის მომდევნო თვის 15 (თხუთმეტი) რიცხვი. სააგენტოში კომერციული ბანკებიდან მიღებული ყოველთვიური ანგარიშგების ანალიტიკური დამუშავება უწყვეტ რეჟიმში ხორციელდება.

დეპოზიტების ცვლილების ტენდენცია

2020 წლის იანვრიდან დეპოზიტების მთლიანი მოცულობა (ფიზიკური და იურიდიული პირები) საშუალოდ თვიურად 2.27%-ით იზრდებოდა. მაქსიმალური ზრდა 2020 წლის მარტში დაფიქსირდა, როდესაც დეპოზიტების მთლიანმა მოცულობამ 8.91%-ით მოიმატა. რაც შეეხება ფიზიკური პირების დეპოზიტებს, მათი მოცულობა საშუალოდ 1.78%-ით იზრდებოდა. ფიზიკური პირების დეპოზიტების და დაზღვეული დეპოზიტების მაქსიმალური ზრდა 2020 წლის მარტის და ივლისის თვეში დაფიქსირდა და შესაბამისად, 10.39% და 81.37% შეადგინა. #2 ცხრილში მოცემულია დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ მონაცემებთან დაკავშირებით.

ცხრილი #2. დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, ფიზიკური პირების დეპოზიტები, დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება, %, მლრდ ლარი

	დეკ.19	იან.20	თებ.20	მარ.20	აპრ.20	მაი.20	ივნ.20	ივლ.20	აგვ.20	სექ.20	ოქტ.20	ნოვ.20	დეკ.20	საშ
დეპოზიტების მთლიანი მოცულობა (მლრდ ლარი)	27,24	27,21	27,31	29,74	28,37	29,13	29,62	31,43	31,86	33,77	33,09	34,47	35,42	
თვიური ცვლილება, %		-0,11	0,35	8,91	-4,60	2,66	1,67	6,11	1,38	6,00	-2,02	4,17	2,75	2,27
ფიზიკური პირების დეპოზიტები	15,07	15,03	14,74	16,27	15,99	15,96	15,81	16,27	16,41	17,47	17,31	17,77	18,49	
თვიური ცვლილება, %		-0,29	-1,93	10,39	-1,68	-0,22	-0,97	2,92	0,88	6,45	-0,87	2,65	4,04	1,78
დაზღვეული დეპოზიტები	2,02	1,91	1,90	2,01	2,07	2,00	2,03	3,68	3,68	3,75	3,74	3,79	4,04	
თვიური ცვლილება, %		-5,19	-0,41	5,60	2,85	-3,13	1,13	81,37	0,09	1,80	-0,16	1,44	6,56	7,66

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მთლიანი დეპოზიტების მოცულობა 30%-ით გაიზარდა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტებმა 22,7%-ით მოიმატა, ხოლო მათ შორის დაზღვეულმა დეპოზიტებმა - 100,4%-ით. #3 ცხრილში მოცემულია დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ მონაცემებთან დაკავშირებით.

დაზღვეული დეპოზიტების ოდენობის მკვეთრი ზრდა, რომელიც 2020 წლის ივლისის თვეში დაფიქსირდა, სადაზღვევო ზღვრის 5,000 ლარიდან 15,000 ლარამდე ზრდას უკავშირდება.

ცხრილი #3. დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, ფიზიკური პირების დეპოზიტები, დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება, %, მლრდ ლარი

	დეკ17	დეკ18	დეკ19	დეკ20
დეპოზიტების მთლიანი მოცულობა (მლრდ ლარი)	19,76	23,90	27,24	35,42
ცვლილება, %	-	21,0	14,0	30,0
ფიზიკური პირის დეპოზიტები	10,66	12,50	15,07	18,49
ცვლილება, %	-	17,2	20,5	22,7
დაზღვეული დეპოზიტები	1,56	1,75	2,02	4,04
ცვლილება, %	-	12,4	15,2	100,4

ფიზიკური პირების დეპოზიტები განთავსებული ეროვნულ ვალუტაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 17,8%-ით არის გაზრდილი, აშშ დოლარში 23,75%-ით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 8,3%-ით), ხოლო ევროში 28,9%-ით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 2,8%-ით). #4 ცხრილში მოცემულია დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ მონაცემებთან დაკავშირებით.

ცხრილი #4. ფიზიკური პირების დეპოზიტები ლარში, აშშ დოლარში და ევროში, ცვლილება, %, მლრდ ლარი

	დეკ19	დეკ20	დეკ20 *
ფიზიკური პირის დეპოზიტები, ლარი	3,83	4,51	4,51
ცვლილება, %		17,8	17,8
ფიზიკური პირის დეპოზიტები, აშშ დოლარი	9,85	12,19	10,67
ცვლილება, %		23,75	8,3
ფიზიკური პირის დეპოზიტები, ევრო	1,39	1,79	1,43
ცვლილება, %		28,9	2,8

* გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე

2020 წლის დეკემბრის მონაცემების მიხედვით, სრულად დაზღვეულია დეპოზიტორი ფიზიკური პირების 97% და ფიზიკური პირების მთლიანი დეპოზიტების 21,86%. დაზღვეული დეპოზიტების 55% დაზღვეულია ეროვნულ ვალუტაში, ხოლო 45% - უცხოურ ვალუტაში.

კომერციული ბანკების მიერ დეპოზიტების დაზღვევის ფონდში 2020 წლის განმავლობაში გადახდილი რეგულარული სადაზღვევო შენატანის მოცულობა თვითონად საშუალოდ 4.39%-ით იზრდებოდა (ცხრილი #5). მაქსიმალური ზრდა (43.22%) 2020 წლის ივლისის თვეში დაფიქსირდა და რეგულარული სადაზღვევო შენატანის მთლიანმა მოცულობამ 2 281 780 ლარი შეადგინა. 2020 წლის დეკემბრის თვის რეგულარული სადაზღვევო შენატანის მოცულობა წინა წლის შესაბამის მონაცემს 56.7%-ით აღემატება.

ცხრილი #5. რეგულარული სადაზღვევო შენატანი, ცვლილება, %, მლნ ლარი

	დეკ.19	იან.20	თებ.20	მარ.20	აპრ.20	მაი.20	ივნ.20	ივლ.20	აგვ.20	სექ.20	ოქტ.20	ნოვ.20	დეკ.20	საშ
რეგულარული სადაზღვევო შენატანი (მლნ ლარი)	1,60	1,52	1,54	1,57	1,62	1,56	1,59	2,28	2,31	2,33	2,37	2,40	2,50	
თვითონად ცვლილება, %		-4,78	1,12	1,92	3,46	-3,75	2,13	43,22	1,41	0,84	1,53	1,10	4,44	4,39

სადაზღვევო ზღვარი, დაფარვის კოეფიციენტი და ფონდის ანაზღაურებისუნარიანობა

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ამოქმედებიდან სადაზღვევო ზღვარი 5,000 ლარს შეადგენდა. 2020 წლის 1 ივლისიდან მოყოლებული ზღვარი 15,000 ლარს შეადგენს. ეს არის თანხის ის მაქსიმალური ოდენობა, რომელსაც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მიიღებს დაზღვეული დეპოზიტორი. აღნიშნული ზღვრის ფარგლებში სრულად დაზღვეულია დეპოზიტორების (ფიზიკური პირები) 97% და ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობის - 21,86% (ცხრილი #6).

ცხრილი #6: დეპოზიტების ცვლილების დინამიკა, იანვარი - დეკემბერი, 2020

	იან.20	თებ.20	მარ.20	აპრ.20	მაი.20	ივნ.20	ივლ.20	აგვ.20	სექ.20	ოქტ.20	ნოვ.20	დეკ.20
დაზღვეული დეპოზიტების მთლიანი მოცულობა	1 912 500 642	1 904 590 925	2 011 199 157	2 068 529 379	2 003 763 113	2 026 453 247	3 675 356 848	3 678 754 260	3 745 003 325	3 738 952 953	3 792 791 663	4 041 749 759
ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობა	15 026 790 150	14 736 219 448	16 267 199 278	15 994 593 760	15 959 466 294	15 805 259 896	16 265 993 858	16 408 448 099	17 466 880 961	17 314 853 159	17 773 165 042	18 491 002 693
დაზღვეული დეპოზიტების მთლიანი მოცულობა / ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობა	12,73	12,92	12,36	12,93	12,56	12,82	22,60	22,42	21,44	21,59	21,34	21,86

დაფარვის კოეფიციენტი საერთაშორისოდ აღიარებული ინდიკატორია, რომელიც ადარებს ფონდის სიდიდეს დაზღვეული დეპოზიტების მთლიან მოცულობასთან და განსაზღვრავს დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ანაზღაურებისუნარიანობას. 2020 წლის 31 დეკემბრის მონაცემების თანახმად, დეპოზიტების დაზღვევის ფონდის ანაზღაურებისუნარიანობა 1.43%-ია ¹. ამ დროისთვის ფონდში არსებული რესურსი საკმარისია იმისთვის, რომ სრულად აანაზღაუროს ერთდროულად 6 ყველაზე მცირე კომერციულ ბანკში, ხოლო ცალ-ცალკე ბოლოდან 8 ნებისმიერ კომერციულ ბანკში დაზღვეული დეპოზიტები.

დეპოზიტების დაზღვევის ფონდი და პორტფელის მართვა

2020 წლის იანვარ-დეკემბერში დეპოზიტების დაზღვევის ფონდში ბანკების მიერ რეგულარული სადაზღვევო შენატანის სახით 22,687,212 ლარი აკუმულირდა. კუპონის სახით მიღებულმა შემოსავალმა 3,436,201 ლარი, ხოლო დაფარული ფასიანი ქაღალდის მოცულობამ 6,900,000 ლარი შეადგინა. დეტალური ინფორმაცია ფონდში აკუმულირებული სახსრების შესახებ მოცემულია ცხრილში #7. აღნიშნული სახსრები, „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სააგენტოს საინვესტიციო პოლიტიკისა და წლიური საინვესტიციო გეგმის შესაბამისად, მიემართება ინვესტირებაზე; ფონდის დაცულობისა და ლიკვიდურობის შენარჩუნების მიზნით, სახსრების ინვესტირება მხოლოდ დაბალრისკიან აქტივებში, კერძოდ, სახაზინო ფასიან ქაღალდებში ხორციელდება.

ცხრილი #7: დეპოზიტების დაზღვევის ფონდის შემოსავლები, 2017-2020

წელი	პირველადი შენატანი	რეგულარული სადაზღვევო შენატანი	კუპონი	სულ შემოსავალი	ხარჯი
2017	1 600 000	0	0	1 600 000	87 301
2018	0	13 843 674	349 391	14 193 065	518 292
2019	0	16 787 387	1 541 832	18 329 219	871 330
2020	0	22 687 212	3 436 201	26 123 412	739 162
სულ	1 600 000	53 318 272	5 327 424	60 245 696	2 216 085

დეპოზიტების დაზღვევის ფონდიდან იფარება სააგენტოს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ხარჯი. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დეპოზიტების დაზღვევის ფონდში აკუმულირებულია 57,960,227 ლარი.

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ყოველწლიური საინვესტიციო გეგმის შესაბამისად, სახაზინო ფასიან ქაღალდებში 2020 წლის დეკემბრის თვის მდგომარეობით

¹ აღნიშნული მოიცავს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ მონაცემებს. გამოთვლაში არ არის ასახული დეკემბრის თვის რეგულარული სადაზღვევო შენატანის მოცულობა, ვინაიდან ფონდში შენატანი ირიცხება ანგარიშგების მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

55,568,396 ლარის მოცულობის ინვესტიცია განხორციელდა (ცხრილი #8). 2020 წლის განმავლობაში ინვესტიციის შედეგად კუპონის სარგებლის სახით მიღებული შემოსავალი 3,436,201 ლარს შეადგენს. არსებული საინვესტიციო პორტფელის წლიური საშუალო შემოსავლის განაკვეთი 8%-ია, ხოლო ვადიანობა 2,6 წელი.

ცხრილი #8: დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს პორტფელი, დეკემბერი 2017 - დეკემბერი 2020

აუქციონის თარიღი	ნომინალური ღირებულება, ლარი	შესყიდვის ფასი, ლარი	ვადიანობა	სარგებლის პროცენტი	კუპონი (%)	დაფარვის თარიღი
27.12.2017	1 450 000,00	1 507 510,04	5 წელი	7,650	8,000	31.08.2022
24.01.2018	20 000,00	20 004,85	5 წელი	8,119	8,125	25.01.2023
21.02.2018	1 160 000,00	1 175 308,72	5 წელი	7,950	8,125	25.01.2023
21.03.2018	1 130 000,00	1 158 601,51	5 წელი	7,800	8,125	25.01.2023
25.04.2018	1 190 000,00	1 233 878,40	5 წელი	7,700	8,125	25.01.2023
27.06.2018	2 245 000,00	2 356 868,56	5 წელი	7,720	8,125	25.01.2023
22.08.2018	20 000,00	20 606,46	5 წელი	7,477	8,125	25.01.2023
15.01.2019	2 150 000,00	2 151 181,48	2 წელი	7,220	7,250	17.01.2021
12.02.2019	385 000,00	388 489,69	2 წელი	7,050	7,250	17.01.2021
12.03.2019	50 000,00	50 758,49	2 წელი	7,010	7,250	17.01.2021
08.04.2019	1 305 000,00	1 336 386,98	2 წელი	6,800	7,250	17.01.2021
11.06.2019	2 230 000,00	2 317 045,79	2 წელი	6,600	7,250	17.01.2021
26.02.2019	1 239 000,00	1 277 767,34	5 წელი	7,375	7,375	27.09.2023
25.06.2019	1 320 000,00	1 326 928,32	5 წელი	7,000	7,000	30.05.2024
13.08.2019	2 045 000,00	2 059 754,47	2 წელი	6,700	6,750	11.07.2021
10.09.2019	1 000 000,00	1 003 837,72	2 წელი	7,200	6,750	11.07.2021
10.09.2019	1 000 000,00	1 004 677,56	2 წელი	7,150	6,750	11.07.2021
24.09.2019	845 000,00	841 133,54	5 წელი	7,700	7,000	30.05.2024
22.10.2019	1 455 000,00	1 403 350,10	5 წელი	8,700	7,000	30.05.2024
12.11.2019	605 000,00	596 566,46	2 წელი	9,200	6,750	11.07.2021
10.12.2019	1 020 000,00	1 009 822,08	2 წელი	9,400	6,750	11.07.2021
28.01.2020	486 000,00	482 596,22	5 წელი	9,300	9,125	30.05.2025
04.02.2020	3 280 000,00	3 327 708,26	2 წელი	9,000	9,375	09.04.2022
02.03.2020	1 550 000,00	1 589 013,77	2 წელი	8,800	9,375	09.04.2022
25.05.2020	1 500 000,00	1 544 742,13	5 წელი	9,125	9,125	30.05.2025
25.05.2020	1 500 000,00	1 552 166,86	5 წელი	9,000	9,125	30.05.2025
02.06.2020	1 650 000,00	1 703 140,04	2 წელი	8,300	9,375	09.04.2022
07.07.2020	1 510 000,00	1 573 249,25	2 წელი	8,200	9,375	09.04.2022
28.07.2020	1 500 000,00	1 552 990,21	5 წელი	8,600	9,125	30.05.2025
28.07.2020	1 500 000,00	1 558 913,96	5 წელი	8,500	9,125	30.05.2025
04.08.2020	2 000 000,00	2 002 423,35	2 წელი	8,200	8,250	06.11.2022
04.08.2020	2 000 000,00	2 004 440,80	2 წელი	8,150	8,250	06.11.2022
04.08.2020	2 000 000,00	2 006 460,86	2 წელი	8,100	8,250	06.11.2022
01.09.2020	1 180 000,00	1 190 985,57	2 წელი	8,100	8,250	06.11.2022
01.09.2020	1 180 000,00	1 193 301,05	2 წელი	8,000	8,250	06.11.2022
06.10.2020	2 320 000,00	2 359 349,19	2 წელი	8,100	8,250	06.11.2022
03.11.2020	2 620 000,00	2 680 583,40	2 წელი	8,100	8,250	06.11.2022
01.12.2020	2 980 000,00	3 005 852,22	2 წელი	8,100	8,250	06.11.2022
სულ	54 620 000	55 568 396				

საჯაროობის პრინციპის დაცვით, სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ყოველთვიურად ქვეყნდება საინვესტიციო საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია. ასევე, სამეთვალყურეო საბჭოს კვარტალურ სხდომებზე განიხილება სააგენტოს მიერ განხორციელებული ინვესტიციები და პორტფელის მდგომარეობა.

განახლებული სადაზღვევო ბლვარი

2020 წლის 1 ივლისიდან ძალაში შევიდა სადაზღვევო ბლვრის 5000-დან 15 000 ლარამდე გაზრდის გადაწყვეტილება.

„დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, სააგენტომ, 2019 წელს, მოამზადა ბლვრის გადახედვასთან დაკავშირებული ანალიზი და წინადადება. ბლვრის ოდენობის და სადაზღვევო პრემიის განაკვეთების განსხვავებული კომბინაციების რამდენიმე სცენარიდან, სამეთვალყურეო საბჭოსა და კომერციულ ბანკებთან კონსულტაციების შედეგად, შეჯერდა საბოლოო პოზიცია - ზოგადი ეკონომიკური სურათის, საბანკო სექტორში არსებული ვითარების და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, ბლვრის ოპტიმალურ ოდენობად 15 000 ლარი განისაზღვრა. აღნიშნული გულისხმობს ბლვრის ისეთ მაჩვენებელს, რომელიც ერთი მხრივ, უზრუნველყოფს დეპოზიტორთა უმრავლესობის სრულ დაცვას და მეორე მხრივ, განაპირობებს სისტემის საიმედოობის და ეფექტიანობის ზრდას.

ამასთან, კომერციული ბანკების მიერ გადასახდელი ყოველთვიური სადაზღვევო შენატანის განაკვეთი კანონით განსაზღვრული მაქსიმალური 0.067%-დან 0.03%-მდე შემცირდა ეროვნული ვალუტით დაზღვეული დეპოზიტებისთვის. განაკვეთის შემცირების გადაწყვეტილება განპირობებულია საბანკო სექტორისთვის ცვლილების ეფექტის შემსუბუქების მიზნით.

ბლვრის ოდენობის 15 000 ლარამდე გაზრდა წარმოადგენს პირველ მნიშვნელოვან ნაბიჯს დაფარვის გასაუმჯობესებლად; ამავდროულად, ხელს შეუწყობს სისტემის სანდოობის და ფინანსური უსაფრთხოების კუთხით დეპოზიტების დაზღვევის მნიშვნელობის ზრდას.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლა დეპოზიტების დაზღვევის სისტემის სტატისტიკაზე აისახა. გაზრდილი ბლვრის შედეგად დაზღვეული დეპოზიტების ოდენობამ 2 მლრდ ლარიდან, დაახლოებით 4 მლრდ ლარამდე მოიმატა; ყოველთვიური სადაზღვევო რეგულარული შენატანის მოცულობა საშუალოდ 1,6 მლნ ლარიდან 2,4 მლნ ლარამდე, ხოლო, დაზღვეული დეპოზიტების წილი - 22 %-მდე გაიზარდა.

„დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და სააგენტოს სამოქმედო გეგმის შესაბამისად, სადაზღვევო ბლვარი გადაიხედება ყოველ 3 წელიწადში. ბლვრის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილება დაეფუძნება საერთაშორისო და ადგილობრივ ეკონომიკურ ტენდენციებს და ბაზრის

დინამიკას. აღნიშნული გეგმა მნიშვნელოვანია სისტემის წევრებისთვის დროული მოლოდინების შექმნისა და საიმედო პროგნოზირების ხელშეწყობისთვის.

რისკზე დაფუძნებული რეგულარული სადაზღვევო შენატანი

„დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2021 წლიდან სისტემა გადადის რისკზე დაფუძნებული რეგულარული სადაზღვევო შენატანის გამოთვლის წესზე. კერძოდ, კანონის თანახმად, სააგენტო „კომერციული ბანკების რისკების ანალიზის საფუძველზე თითოეული კომერციული ბანკისათვის ამტკიცებს შემდგომი წლისთვის რეგულარული სადაზღვევო შენატანის ინდივიდუალურ ოდენობას“. ამასთან, შენატანის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს კანონით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ზღვარს - 0.067%-ს ლარში დაზღვეული დეპოზიტებისთვის და 0.1%-ს, უცხოურ ვალუტაში დაზღვეული დეპოზიტებისთვის.

აღნიშნული სისტემური ცვლილების განხორციელების მიზნით, დეპოზიტების დაზღვევის სააგენტომ, საქართველოს ეროვნულ ბანკთან თანამშრომლობით, შეიმუშავა „რისკზე დაფუძნებული სადაზღვევო შენატანის გამოთვლის მეთოდოლოგია“, რომელშიც გათვალისწინებულია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა - დეპოზიტების საერთაშორისო ასოციაციის (IADI) და ევროპის საბანკო ასოციაციის (EBA) სახელმძღვანელო პრინციპები და ეფუძნება გამჭვირვალობის, თანაბარი და სამართლიანი მიდგომის, ხელმისაწვდომი ინფორმაციის და კონფიდენციალურობის საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს.

მეთოდოლოგიის შესაბამისად, 2021 წლისთვის დადგინდა და ინდივიდუალურად ეცნობა შენატანის ოდენობა თითოეულ კომერციული ბანკს. სიახლე კომერციულ ბანკებთან წინასწარ იყო განხილული შეხვედრაზე, რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანიზებით ჩატარდა. ამასთან, სააგენტოს მხრიდან ბანკებს დაეგზავნათ ელექტრონული წერილები, რომელშიც დეტალურად იყო განმარტებული ცვლილების შესახებ. აღსანიშნავია, რომ სააგენტოს გადანაცვებით, განახლებული შენატანების დაანგარიშებისთვის გამოყენებული მაქსიმალური ზღვარი ლარში დაზღვეული დეპოზიტებისთვის არ აღემატება 0.05%-ს, რისი საშუალებითაც, ცვლილების შედეგად კომერციული ბანკებისთვის დეპოზიტების დაზღვევის ფონდში გადასახდელი რეგულარული შენატანის წლიური ოდენობა, მნიშვნელოვნად არ აღემატება ცვლილების გარეშე გადასახდელი თანხის ოდენობას.

სიახლე ძალაში 2021 წლიდან შედის. კომერციული ბანკები ახალი განაკვეთების შესაბამის შენატანებს დეპოზიტების დაზღვევის ფონდში 2021 წლის იანვრიდან გადაიხდიან.

საკანონმდებლო ცვლილებები

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტომ მოამზადა პაკეტი „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის“ შესახებ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების შესახებ. პაკეტში გათვალისწინებულია 2 ძირითადი მიმართულების საკითხები - შინაარსობრივი, არსებითი ხასიათის და ტექნიკური ცვლილებები, რომელთა საჭიროება გამოვლინდა პრაქტიკაში, კანონის ამოქმედების შემდეგ.

შინაარსობრივი ხასიათის ცვლილებებს შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დეპოზიტების დაზღვევის სისტემაში იურიდიული პირების ჩართვა. ამით საქართველოს დეპოზიტების დაზღვევის სისტემა კიდევ უფრო დაუახლოვდება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას და სისტემით უკვე უზრუნველყოფილი იქნება არა მხოლოდ ფიზიკური პირების, არამედ იურიდიული პირების დეპოზიტების გარანტირებული დაზღვევა და საჭიროების შემთხვევაში ანაზღაურება. ასევე, იზრდება დაზღვევის სისტემის, როგორც ფინანსური უსაფრთხოების კომპონენტის როლი და მნიშვნელობა. იურიდიული პირების დეპოზიტების გარანტირებული დაზღვევა, შექმნის უსაფრთხოების დამატებით გარანტიას, სტიმულს მცირე ბიზნესისთვის და დადებითად აისახება ქვეყნის საინვესტიციო იმიჯსა და კლიმატზე.

საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად გაიზრდება დეპოზიტების დაზღვევის ფონდის ეფექტიანობა, რამდენადაც სააგენტოს უზრუნველყოფა ახალი ინსტრუმენტები საინვესტიციო საქმიანობის მეტი მოქნილობისთვის. ხოლო სადისკონტო ოპერაციების შესაძლებლობის გაჩენის შედეგად, უზრუნველყოფილი იქნება ფასიანი ქაღალდების სწრაფი განაღდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფონდის მიერ თავისი ძირითადი ფუნქციის - დეპოზიტორების სწრაფი და ეფექტიანი ანაზღაურების პროცესის სრულყოფილად წარმართვისთვის. გარდა ამისა, ცვლილებების შემდეგ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ეძლევა შესაძლებლობა საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნას ანგარიში და განათავსოს თავისუფალი სახსრები სარგებლის მიღების მიზნით. კანონპროექტით მკაფიოდ განისაზღვრება სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ხარჯების ფონდიდან ანაზღაურების საკითხი.

რაც შეეხება ტექნიკური ხასიათის ცვლილებებს, მათი აუცილებლობა გამოვლინდა პრაქტიკაში - კანონის ამოქმედების შემდეგ. მათ შორისაა სადაზღვევო შემთხვევის და დეპოზიტის ცნებების განმარტების დახვეწა და რიგი პროცედურული საკითხების გამარტივება.

სააგენტომ გაითვალისწინა და საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტში ასახა დაინტერესებულ მხარეთა მიერ (საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო კომიტეტი) წარმოდგენილი შენიშვნები და მოსაზრებები. საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის საპარლამენტო განხილვა 2021 წლის საგაზაფხულო სესიაზე იგეგმება.

მართვის საინფორმაციო სისტემა

მართვის საინფორმაციო სისტემა წარმოადგენს სპეციალურ ელექტრონულ პროგრამას, რომლითაც ხდება დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ძირითადი პროცესების - ყოველთვიური ანგარიშგების, ყოველთვიური შენატანების, ანალიტიკის წარმოების პროცესის და სადაზღვევო შემთხვევის მართვა. დაზღვევის სისტემის შესაბამისი ელექტრონული პროგრამით მართვა წარმოადგენს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას და განსაზღვრულია საქართველოს კანონით „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“.

სისტემაზე მუშაობა 2020 წლის აპრილში დასრულდა, როგორც ეს ხელშეკრულებით იყო განსაზღვრული. წლის პირველ კვარტალში, ინტენსიურად მიმდინარეობდა სისტემის ტესტირება და დახვეწა, რის შემდეგაც პროგრამის საპილოტე ვერსია დაინერგა რეალურ გარემოში. სისტემა შეფერხებების და ხარვეზების გარეშე ფუნქციონირებს.

სისტემის დანერგვასთან ერთად, ჩატარდა სპეციალური ტრენინგები კომერციული ბანკებისთვის, რომლებიც ასევე, სისტემის მომხმარებლები არიან. ტრენინგები ონლაინ რეჟიმში წარიმართა და მასში ჩართული იყო სააგენტოს ბიზნეს-ანალიტიკოსი და პროგრამაზე მომუშავე საინფორმაციო ტექნოლოგიების კომპანიის წარმომადგენელი.

2020 წლის სექტემბრიდან კომერციული ბანკები ყოველთვიურ ანგარიშგებას მართვის საინფორმაციო სისტემის საშუალებით წარადგენენ.

საინფორმაციო კამპანია

დეპოზიტების დაზღვევის სისტემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სიახლის - სადაზღვევო ზღვრის 5 000-დან 15 000 ლარამდე გაზრდის შესახებ მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, 2020 წლის მეორე კვარტალში ჩატარდა საინფორმაციო კამპანია. შეიქმნა ანიმაციური ვიდეო-რგოლი, რომელიც განთავსდა ქვეყნის ყველა წამყვანი ტელევიზიის ეთერში სოციალური რეკლამის სახით. დამატებით, კიდევ უფრო ფართო აუდიტორიის მოცვის მიზნით, სააგენტომ დამატებით შეისყიდა კომერციული სარეკლამო დრო. ვიდეორგოლი, ასევე, გავრცელდა სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდისა და სოციალური ქსელის საშუალებით. საინფორმაციო კამპანიის ეფექტიანობაზე მიუთითებს მოსახლეობის მხრიდან ინტერესის მნიშვნელოვანი ზრდა, რაც გამოიხატა სააგენტოს სატელეფონო ხაზზე, ელექტრონულ ფოსტასა და სოციალურ ქსელში მომართვებში.

საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, ასევე, მომზადდა საინფორმაციო ბროშურებისა და ბანერების დიზაინი, რომლებიც დაიბეჭდა და გავრცელდა კომერციულ ბანკებში. კომერციულმა ბანკებმა, სიახლის შესახებ, მომხმარებლებს ინტერნეტ-ბანკისა და ელექტრონული ფოსტის საშუალებითაც აცნობეს.

მოსახლეობაში სისტემის ცნობადობის და ინფორმირებულობის შეფასების მიზნით, დაგეგმილი და სააგენტოს სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულია სოციოლოგიური კვლევის ჩატარება. განმეორებითი კვლევა სისტემაში იურიდიული პირების ჩართვისა და შესაბამისი საინფორმაციო კამპანიის წარმოების შემდეგაც ჩატარდება.

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ფინანსური მდგომარეობა

სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარჯები გაწერილია შესაბამისი წლის ბიუჯეტით და ფინანსდება დეპოზიტების დაზღვევის ფონდის სახსრებით. ფონდის შემოსავლების მთავარ ნაწილს წარმოადგენს კომერციული ბანკების მიერ განხორციელებული პირველადი შენატანები, რეგულარული სადაზღვევო შენატანები და საინვესტიციო საქმიანობისგან მიღებული სარგებელი. სააგენტოს აქვს ფონდის და ანგარიშსწორების ანგარიში ხაზინაში, რომლის საშუალებითაც ახორციელებს ანგარიშსწორებას კანონმდებლობის შესაბამისად. სააგენტოს 2020 წლის ბიუჯეტი, დამტკიცებული სააგენტოს უფროსის მიერ სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით, შეადგენდა 876,000.0 ლარს, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 739,162.17 ლარი (ცხრილი #9).

ცხრილი #9: დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ, 2020 წელი

სსიპ - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო	გეგმა	ვალდებულება	გადახდა
ჯამი	876,000.00	741,855.17	739,162.17
ხარჯები	711,000.00	595,191.17	592,498.17
შრომის ანაზღაურება	343,200.00	264,976.19	264,976.19
საქონელი და მომსახურება	359,800.00	328,429.31	325,736.31
სოციალური უზრუნველყოფა	6,000.00	1,523.81	1,523.81
სხვა ხარჯები	2,000.00	261.86	261.86
არაფინანსური აქტივების ზრდა	165,000.00	146,664.00	146,664.00